

# 24 საათი

## ვის უნახავენ გადამწვარ ტყეებს?

გუშინ სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბორჯომის ხეობის ტყეებში ხანძარი გაჩნდა.

დათო გამისონია

24 საათი 16.08.11



გუშინ სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბორჯომის ხეობის ტყეებში ხანძარი გაჩნდა.

არაერთი ადამიანია თვითმხილველი იმისა, რომ ცეცხლის გაჩენამდე ბორჯომი-ცემის ტყეების თავზე რუსული შვეულმფრენები დაფრინავდნენ და იქ ჭურვებს ყრიდნენ. ხანძარმა 20 დღეზე მეტხანს გასტანა. შედეგად, დაახლოებით 1100 ჰექტარი ტყის ფართობი განადგურდა.

მაღევე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაერო-ს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან საქართველოში რუსეთის მიერ ბუნების მასობრივი განადგურების - ეკოციდის (ატმოსფეროს, მიწის, წყლის რესურსების მოწამვლა, ცხოველთა და მცენარეული სამყაროს მასობრივ განადგურება) შესახებ ისაუბრა. იმის გამო, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველო მიერთებული არ იყო იმ კონვენციასთან, რომელიც ეკოციდის საკითხებს არეგულირებს, კონვენციის რატიფიცირებას და შემდეგ მისი დარღვევისთვის რუსეთთან დავა (კანონს უკუქცევის ძალა არ აქვს) უშედეგო იქნებოდა. საქართველომ აქცენტი რუსეთის წინააღმდეგ შეტანილ საჩივარზე გააკეთა. როგორც "24 საათს" იუსტიციის სამინისტროში აცნობეს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში საქართველოს მიერ რუსეთის წინააღმდეგ შეტანილ სახელმწიფოთაშორის განაცხადში რუსეთის აგრესიით გამოწვეული ეკოლოგიური ზიანის შესახებაც არის ნათქვამი.

დღეისთვის სამართლებრივი საკითხებზე არანაკლებ აქტუალური ეკოლოგიური პრობლე-

მეზია. გადამწვარი ტყის მნიშვნელოვანი ნაწილის გაცოცხლება დახმარების გარეშე წარმოუდგენელია. ამ ხნის განმავლობაში დამწვარი ტყის შესწავლა მიმდინარეობდა. შესწავლის დრო კი საკმარისზე მეტი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ტყეში ქერქიჭამია მავნებლები დაბუდეებულიყვნენ. როგორც ადგილობრივები იტყობინებიან, საშიში მწერი ნახანძრალი ტყიდან ახლად ამოსულ ხეებზეც ადვილად ვრცელდება, რაც მისი განადგურების საშიშროებასაც ქმნის.

"რა თქმა უნდა, საშიშროება იყო, რომ მავნებლები დასახლებულიყვნენ, მაგრამ ეს გაზაფხული გადავიტანეთ და ნარჩენების გამო მნიშვნელოვანი ზიანი არ არის," - დამაიმედებელ განცხადებას აკეთებს სატყეო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ნათია იორდანიშვილი. მან "24 საათთან" იმ მიზეზების შესახებ ისაუბრა, რის გამოც ტყეები ხანძრის ნარჩენებისგან დღემდე არ არის გასუფთავებული. იორდანიშვილი ამბობს, რომ ზოგადად ნახანძრალ ტერიტორიაზე არის როგორც ქვემოთ დაყრილი ნარჩენი, ასევე გამხმარი ხეები, რომლებიც არ წაქცეულა. მისი თქმით, ტყის მოვლა-აღდგენის წესის თანახმად, ხანძრის შემდეგ ხე-ტყის მოჭრა განსაკუთრებული შესწავლის შემდეგ, ტყის აღდგენის პროექტის გათვალისწინების შემთხვევაში დაიშვება.

ავვისტოს ომის გამო ბორჯომის ხეობაში შექმნილი ვითარება რამდენიმე კომისიამ შეისწავლა. ნათია იორდანიშვილის განცხადებით, დამწვარი ხეების მოჭრისა და გამოტანის საკითხის შესახებ თვითონ მეცნიერებს ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები ჰქონდათ. ზოგი ამბობდა, რომ მისი მოჭრა და გამოტანა ეროზიის პროცესს კიდევ უფრო გააღრმავებდა, ნაწილი კი დამწვარი ხეებისგან ტყის გასუფთავების პროცესის დაჩქარებას მოითხოვდა. "რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, უკვე 2010 წელს შექმნილი კომისია შეთანხმდა, რომ ნიადაგი არცთუ ისე დაზიანებულია და ამ ხეების მოჭრა-გამოტანა შესაძლებელია. ნიადაგური და გეოლოგიური შესწავლის დასრულების შემდეგ, ექსპერტებმა დასკვნაში აღნიშნეს, რომ მოჭრილი ხეების ნაწილს ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოებისთვის, ბარიერების გასაკეთებლად გამოიყენებენ, ხოლო დანარჩენს გამოიტანენ. პროექტში, რომლის განხორციელებაც შემოდგომაზე დაიწყება, ყველაფერი გათვალისწინებულია," - აღნიშნავს იორდანიშვილი. ტყის აღდგენითი ღონისძიებები ადგილზე სანერგეს მოწყობასაც მოიცავს.

პროექტი უცხოელი პარტნიორების დახმარებით მომზადდა. არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივის" წარმომადგენელი ირაკლი მაჭარაშვილი "24 საათში" აღნიშნავს, რომ სამხედრო მოქმედებების დასრულებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ფინეთის მთავრობამ საქართველოს ტყეების აღდგენაში დახმარების გაწევის სურვილი გამოთქვა და დაახლოებით 1.5 მილიონი ევრო გამოჰყო. გადაწყდა, რომ ეს პროექტი გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მეშვეობით განხორციელდებოდა. ეს არის მენეჯმენტის გეგმა, როგორ უნდა აღადგინონ გადამწვარი ტყეები. პროექტი დასამტკიცებლად სატყეო სამმართველოს გადაეცა და ჯერჯერობით საჯარო არ არის. როგორც მაჭარაშვილი შენიშნავს, ფინეთის დაფინანსების ფარგლებში გათვალისწინებული იყო, რომ გარკვეული თანხები მეწყრის საშიშროების არიდებას, ასევე ახალი ნერგების დარგვას მოხმარდება, ხოლო ტერიტორიის ნაწილში ტყის ბუნებრივი აღდგენის ხელშეწყობის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს.

გაერო-ს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისის პრესსამსახურში "24 საათს" განუცხადეს, რომ პროექტი "საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზიანებული ტყის ეკოსისტემის აღდგენა" ჯერჯერობით მომზადების ფაზაშია. ტყის აღდგენითი სამუშაოების შესახებ გეგმა ჩამოყალიბებული არ არის, თუმცა შემოდგომაზე მზად იქნება

და აქტიური სამუშაოებიც დაიწყება.

პროექტის მომზადებამდე, მაშინ, როცა სამხედრო მოქმედებები ჯერ კიდევ ახალი დასრულებული იყო, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ (მაშინდელი სახელწოდებით) გარკვეულ ღონისძიებებს მიმართა. ირაკლი მაჭარაშვილი ამბობს, რომ მასობრივი ჭრის თავიდან ასაცილებლად განსაკუთრებით დამწვარი ტყეები დაბაწადვერის მიდამოებში მავთულხლართებით შემოღობეს. თუმცა ამან ხეების უკანონო მოჭრა ვერ შეაჩერა. "მწვანე ალტერნატივა" მონიტორინგს ატარებდა. შარშან სამინისტროს გადავეცით ფოტომასალა, სადაც ასახული იყო, როგორ ჭრიდნენ ხეებს. მათ თავისივე საგამომიებო სამსახურს მიმართეს. რამდენადაც ვიცი, ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და ვიღაცეები დააპატიმრეს, მაგრამ ამით ტყეებს დიდად არ ეშველა. ფაქტობრივად, შემოღობვა უშედეგო გამოდგა," - აღნიშნავს მაჭარაშვილი. მისივე განცხადებით, სამწუხაროდ, აგვისტოს ომის შემდგომ გაკეთებულმა სხვადასხვა კომენტარმა საზოგადოებას მოლოდინი შეუქმნა, რომ დამწვარი ტყეების ნაცვლად ახალს მალევე გააშენებდნენ. "ამ საკითხების მოგვარება ასე სწრაფად არ ხდება, " - შენიშნავს მაჭარაშვილი.